

შპს „თ.კ.ოილი“

2019 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

თბილისი

2020

ს ა რ ზ ე ვ ი

შპს „თ.კ ოილი“-ს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 იანვარი, 2017 წ.	
აქტივები:				
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,221	47,237	40,456	3.1
გადახდილი ავანსები	2,080	1,010	2,158	
მარაგები	40,239	42,783	58,037	3.2
სხვა მიმდინარე აქტივები	66,140	17,633	303	3.3
სხვა არამატერიალური აქტივები	136	407	678	3.4
ძირითადი საშუალებები	5,494	10,334	14,913	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	(0)	-	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	522,905	432,057	-	
აქტივები სულ:	649,213	551,461	116,545	
ვალდებულებები:				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-	
სავაჭრო ვალდებულებები	344,496	255,378	318,494	3.5
სახელფასო დავალიანება	2,283	18,413	858	
საგადასახადო ვალდებულებები	23,131	13,391	7,313	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	50,000	-	-	3.6
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	481,454	585,093	27,754	3.7
ვალდებულებები სულ:	901,364	872,275	354,420	
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	15,100	15,100	100	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(267,252)	(335,915)	(237,975)	
კაპიტალი სულ:	(252,152)	(320,815)	(237,875)	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	649,213	551,460	116,545	

თანდართული შენიშვნები მე-12 დან მე-17 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი გორგაძე
მთ. ბუღალტერი ----- ქეთევან ზაქარიაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (1 ლარი)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2,019	2,018	
ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	2,657,927	3,862,851	3.8
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,268,472)	(3,542,988)	
საწყისი მარაგები	42,782	58,037	
მარაგების შესყიდვა	2,265,928	3,527,733	
გადამუშავების დანახარჯები	-	-	
საბოლოო მარაგები	40,239	42,783	
საერთო მოგება	389,455	319,863	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(162,087)	(267,150)	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(12,225)	(8,363)	
ოჯარის ხარჯი	(90,000)	(90,000)	
მიწოდების ხარჯი	(2,866)	(2,690)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,111)	(5,308)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(31,977)	(31,215)	3.9
ფინანსური შემოსავალი	28,668	16,714	3.10
ფინანსური ხარჯი	(50,260)	(30,536)	3.11
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(325,859)	(418,547)	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	5,067	744	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	68,663	(97,940)	
მოგების გადასახადი	-	-	
წლის წმინდა მოგება	68,663	(97,940)	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიურ)	-	-	
წლის სრული შემოსავალი	68,663	(97,940)	

თანდართული შენიშვნები მე-12 დან მე-17 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი გორგაძე

მთ. ბუღალტერი ----- ქეთევან ზაქარიაძე

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თ.კ.ოილი“ (საიდენტიფიკაციო კოდით #400141360) (შემდგომში - *კომპანია* ან *ჯგუფი*) მიერ. შპს თ.კ.ოილი დარეგისტრებულია 2015 წლის 18 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400141360, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, კონდოლის ქ., N 4

1.2. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორს წარმოადგენს: გიორგი გორგაძე (პ/ნ 01020007147), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 100%.

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) მმართველი პარტნიორი;

ბ) დირექტორი.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - გიორგი გორგაძე (პ/ნ 01020007147)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

- საცალო ვაჭრობა ბენზინით სპეციალიზებულ მაღაზიებში(ავტოგასამართი);
- საცალო ვაჭრობა დიზელის სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში(ავტოგასამართი)

1.5. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

1.6. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2016 წლიდან წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულო არ არის .

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის „მსს ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე

პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საერთაშორისო სტანდარტის „მსს ფასს“-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რეტროსპექტულად გადაანგარიშდა საბუღალტრო ნაშთები 2016 წლის ბოლო (31 დეკემბრის) მდგომარეობით.

2.5. კომპანიის მიერ 2018-2019 წლებში ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს საერთაშორისო სტანდარტის „მსს ფასს“-ის შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები, დადებითი სავალუტო საკურსო სხვაობა, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები. კომპანიის საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთა გაწეული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების გამოყენება.

გ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად,

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არარსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არარსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების

გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან ან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი; 1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1.) ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი 2017 წ.
	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ნაღდი ფული საღაროში	5,402	37,611	23,175
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	6,818	9,626	17,281
	<u>12,221</u>	<u>47,237</u>	<u>40,456</u>

3.2.) მარაგები

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი 2017 წ.
	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
გასაყიდად გამოჩნული საქონელი	40,239	42,783	58,037
სხვა მარაგები			
	<u>40,239</u>	<u>42,783</u>	<u>58,037</u>

3.3.) სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	31 დეკემბერი 2017 წ. (ლარი)
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	66,089	17,633	252
მოთხოვნები ანგარიშვალდებულ პირების მიმართ	51		51
სხვა მიმდინარე აქტივები			
	<u>66,140</u>	<u>17,633</u>	<u>303</u>

5.4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მანქანა- დანადგარე ბი	კომპიუტერუ ლი ტექნიკა და აღჭურვილობა	ავეჯი	სხვა	სხვა (არამატ. აქტ.)	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,292	11,957	2,129	1,425	1,356	27,159
დამატება		653	60	481		1,194
(შემცირება)	-			-	-	-
გადაფასება	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,292	12,610	2,189.42	1,906.09	1,356	28,353
	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-		-	-	-
ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	10,292	12,609.93	2,189	1,906	1,356	28,353
შემენა		458.63				
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი						-
ჩამოწერა	2,084	2,435	326	191	271	5,307
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,848	8,554	1,253	467	949	18,070
	-	-	-	-	-	-
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,443.74	4,514.92	937	1,438.95	406.78	10,741

	მანქანა- დანადგარე ბი	კომპიუტერუ ლი ტექნიკა და აღჭურვილობა	ავეჯი	სხვა	სხვა (არამატ. აქტ.)	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	10,292	12,610	2,189	1,906.09	1,356	28,353
დამატება (შემცირება)		458			-	458
გადაფასება	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,292	13,068	2,189	1,906	1,356	28,811
	-	-	-	-	-	-
გაუფასურება						
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	2,073	2,344	232	191	271	5,111
ჩამოწერა						-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,921	10,898	1,484	658	1,220	23,181
	-	-	-	-	-	-
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,370.62	2,169.79	705.23	1,248	136	5,630

3.5.) სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	01 დეკემბერი 2017 წ. (ლარი)
რეზიდენტი კომპანიები	344,496	255,378	318,494
არარეზიდენტი კომპანიები	-	-	-
	<u>344,496</u>	<u>255,378</u>	<u>318,494</u>

3.6.) მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	31 დეკემბერი 2017 წ. (ლარი)
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტ	50,000	-	-
	<u>50,000</u>	<u>-</u>	<u>-</u>

3.7.) გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2018 წ. (ლარი)	31 დეკემბერი 2017 წ. (ლარი)
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტ	393,868	552,772	-
გრძელვადიანი ვალდებულება ფიზიკური და ი	87,586	32,320	27,754
	<u>481,454</u>	<u>585,093</u>	<u>27,754</u>

3.8.) ამონაგები

	2019 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
გაყიდვები და მომსახურება რეზიდენტ პირებზე	2,657,927	3,862,851
გაყიდვები ექსპორტზე	-	-
მომსახურება არარეზიდენტებზე	-	-
	<u>2,657,927</u>	<u>3,862,851</u>

3.9.) ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2019 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
საბანკო ხარჯები	20,467	19,255
დაზღვევის ხარჯები	1,530	1,530
საკანცელარიო	380	431
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9,600	9,999
	31,977.5	31,215

3.10.) ფინანსური შემოსავალი

	2019 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
შემოსავალი გაცემული სესხებიდან დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები	28,668	16,714
	28,668	16,714

3.11.) ფინანსური ხარჯი

	2019 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	50,260	30,537
ოვერდრაფტზე დარიცხული პროცენტი	-	-
აკრედიტივის საკომისიო ხარჯი	-	-
	50,260	30,537

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეულ კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეებიც არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიის შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებული ქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის

გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც და კავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, მაგრამ არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო სასამართლოებში კომპანიას სასამართლო დავები არ გააჩნდა.

3.13 .საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია მისი მენეჯმენტის მიერ 2010 წლის 23 სექტემბერს. 01.01.2020-30.09.2020 პერიოდში არ მომხდარა ან არ არის ცნობილი რამე ისეთი მოვლენა ან ცდომილება, რომელიც გამოიწვევდა 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 იანვარი, 2017 წ.	
აქტივები:				
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,221	47,237	40,456	3.1
გადახდილი ავანსები	2,080	1,010	2,158	
მარაგები	40,239	42,783	58,037	3.2
სხვა მიმდინარე აქტივები	66,140	17,633	303	3.3
სხვა არამატერიალური აქტივები	136	407	678	3.4
ძირითადი საშუალებები	5,494	10,334	14,913	3.4
სხვა გრძელვადიანი აქტივები	522,905	432,057	-	
აქტივები სულ:	649,213	551,461	116,545	
ვალდებულებები:				
სავაჭრო ვალდებულებები	344,496	255,378	318,494	3.5
სახელფასო დავალიანება	2,283	18,413	858	
საგადასახადო ვალდებულებები	23,131	13,391	7,313	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	50,000	-	-	3.6
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	481,454	585,094	27,754	3.7
ვალდებულებები სულ:	901,364	872,276	354,420	
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	15,100	15,100	100	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(267,252)	(335,915)	(237,975)	
კაპიტალი სულ:	(252,152)	(320,815)	(237,875)	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	649,213	551,461	116,545	

თანდართული შენიშვნები მე-12 დან მე-17 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი გორგაძე
მთ. ბუღალტერი ----- ქეთევან ზაქარიაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (1 ლარი)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2,019	2,018	
ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	2,657,927	3,862,851	3.8
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,268,472)	(3,542,988)	
საწყისი მარაგები	42,782	58,037	
მარაგების შესყიდვა	2,265,928	3,527,733	
გადამუშავების დანახარჯები	-	-	
საბოლოო მარაგები	40,239	42,783	
საერთო მოგება	389,455	319,863	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(162,087)	(267,150)	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(12,225)	(8,363)	
ოჯაროს ხარჯი	(90,000)	(90,000)	
მიწოდების ხარჯი	(2,866)	(2,690)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,111)	(5,308)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(31,977)	(31,215)	3.9
ფინანსური შემოსავალი	28,668	16,714	3.10
ფინანსური ხარჯი	(50,260)	(30,536)	3.11
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(325,859)	(418,547)	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	5,067	744	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	68,663	(97,940)	
მოგების გადასახადი	-	-	
წლის წმინდა მოგება	68,663	(97,940)	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიურ	-	-	
წლის სრული შემოსავალი	68,663	(97,940)	

თანდართული შენიშვნები მე-12 დან მე-17 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი გორგაძე

მთ. ბუღალტერი ----- ქეთევან ზაქარიაძე